სავარჯიშო სურათის აღწერაზე

(გზამკვლევი)

მოამზადა თათია ბარბაქაძემ
დიზაინი ხათუნა ციხელაშვილი

საფეხური: საბაზო
რესურსის მიზანი: მოსწავლეებში ნამუშევრის აღწერის უნარის განვითარება.
რესურსის მოსალოდნელი შედეგი: მოსწავლეებს შეეძლებათ ნამუშევრის თანმიმდევრული აღწერა.

გაკვეთილი სურათის აღწერაში ვარჯიშს ეთმობა. აქტივობის შესრულების შემდეგ მოსწავლეებს მკაფიოდ და თანმიმდევრულად შეეძლებათ კომპოზიციის აღწერა. აღწერა ნამუშევრის ანალიზის შემადგენელი ნაწილია და პასუხობს კითხვას “რას ვუყურებ?”. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს აღწერის უნარი განვითარებული აქვთ, მაშინ ნამუშევრის ანალიზი მათთვის რთულად შესასრულებელ დავალებას აღარ წარმოადგენს.

გაკვეთილის მსვლელობა

ნაბიჯი 1

გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელი კლასს აქტივობას აცნობს. გაკვეთილი წყვილებში მუშაობას ითვალისწინებს. აქტივობა კი კომპოზიციის აღწერასა და აღწერილის დახატვას გულისხმობს. მასწავლებელი წყვილებად დაყოფილ კლასს სთხოვს სახატავი მასალების (უბრალო შავი ფანქარი, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, გუაშის საღებავები, ფუნჯები, წყლით სავსე ჭურჭელი) მომზადებას. მასწავლებელი ყოველი წყვილიდან ერთს წინასწარ ფერად პრინტერზე ამობეჭდილ სურათს აძლევს და სთხოვს, სურათი მერხზე ისე დადოს, რომ მისმა მეწყვილემ ვერ დაინახოს. ყოველი წყვილიდან მეორე მოსწავლეს ჩამოთვლილი სახატავი მასალებიდან რომელიმე აქვს მომზადებული და მეწყვილის მითითებას ელოდება.

ნაბიჯი 2

მოსწავლეები, რომლებსაც სურათები დაურიგა მასწავლებელმა, ჯერ გამოსახულებაზე დაკვირვებას, შემდეგ კი აღწერას იწყებენ. როგორც კი, ერთი მოსწავლე ნამუშევრის აღწერას დაიწყებს, მისი მეწყვილე ვალდებულია, მაშინვე დაიწყოს მეგობრის მონათხრობის მიხედვით ხატვა. მოსწავლეები არ ამხელენ ნამუშევრის ავტორსა და სახელწოდებას. მათი დავალებაა, სურათი ისე აღწერონ, რომ მეწყვილემ ჯერ კომპოზიციის მონახაზის გაკეთება, შემდეგ კი ნამუშევრის დასრულება შეძლოს. აქტივობისთვის განკუთვნილია **15** წთ. დავალების შესრულების შემდეგ მეწყვილეებმა როლები უნდა გაცვალონ. ვინც იყო „აღმწერი', ის გახდება „მხატვარი' და პირიქით. ასევე, აუცილებელია, რომ მეორე აქტივობის დაწყებისას ვიზუალური მასალა სხვადასხვა წყვილმა ერთმანეთს გაუცვალოს.



რეკომენდაცია „აღმწერს“:

აღწერისას მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ ჟანრზე, ტექნიკაზე, ფერწერულ გადაწყვეტაზე, ობიექტის ან ფიგურის ფორმაზე, სამოსზე, მოძრაობაზე, სასურათე სიბრტყეზე მათ განლაგებაზე, პერსპექტივაზე, შუქ-ჩრდილზე, რიტმზე, წინა და უკანა პლანებზე, კომპოზიციის სიმეტრიულობასა ან ასიმეტრიულობაზე, სტატიკასა და დინამიკაზე, ფიგურების/საგნების აგებასა და მათ თანაფარდობაზე, ფონისა და ფიგურების/ საგნების ურთიერთმიმართებაზე, ხედზე, რაკურსზე, ემოციასა და განწყობაზე. აღწერის დროს მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა თანმიმდევრულობა დაიცვან. კომპოზიციის აღწერა შესაძლებელია მარცხნიდან, მარჯვნიდან ან ცენტრიდან. მთავარია, აღმწერის მონათხრობი იყოს მკაფიო და თანმიმდევრული.

რეკომენდაცია „მხატვარს“

მოსწავლე, რომელმაც მეწყვილის მონათხრობის მიხედვით უნდა შექმნას ნამუშევარი, აუცილებელია, კლასელს ყურადღებით მოუსმინოს. იმ შემთხვევაში, თუ მეწყვილის მონათხრობი გაუგებარი იქნება, მაშინ „მხატვარს‘ შეუძლია, მეგობარს დამაზუსტებელი კითხვები დაუსვას. ასე, მაგალითად: რა ჟანრის ნამუშევარია? რა ტექნიკაშია ნამუშევარი შესრულებული? რა თემატიკის ნამუშევარია? კონკრეტულად რა არის გამოსახული? რეალისტურია თუ პირობითი საგნების/ ფიგურების გამოსახვის ფორმა? პროპორციულია თუ დისპროპორციულია გამოსახული საგნები ან ფიგურები? როგორია მათი თანაფარდობა? როგორია საგნების/ ფიგურების და ფონის ურთიერთმიმართება? როგორი განწყობა/ემოცია აქვთ ფიგურებს? სიმეტრიულია თუ ასიმეტრიულია კომპოზიცია? სტატიკური თუ დინამიკურია კომპოზიცია? რა არის კომპოზიციის ცენტრი? გვხვდება თუ არა ერთგვაროვანი ელემენტების განმეორებადობა? რომელი ფერებია გამოყენებული? სურათზე ლაქობრივი მონასმებია თუ არის ფერის გრადაცია? როგორია შუქ-ჩრდილის გამოყენება? რამდენი პლანი აქვს ნამუშევარს? არის თუ არა კომპოზიციის აგებისას პერსპექტივა გამოყენებული? რას მეტყოდი რაკურსისა და ხედის შესახებ?

გაკვეთილის მსვლელობა

ნაბიჯი 3

მთელი გაკვეთილის განმავლობაში მასწავლებელი ფასილიტატორის როლს ასრულებს. აქტივობის შესრულების დროს კი, საჭიროებისამებრ, მოცემული რეკომენდაციებითა და კომენტარებით მოსწავლეების დახმარებას ცდილობს.

ნაბიჯი 4

ორივე აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა **10** წუთის განმავლობაში საკუთარი ნამუშევრები კლასის წინაშე უნდა წარადგინონ. მეწყვილეებმა აღწერისა და ხატვის სირთულეზე, თავისებურებებსა და შესრულებულ დავალებაზე უნდა ისაუბრონ. მნიშვნელოვანია, რომ მეწყვილეებიდან ორივემ აღმწერისა და მხატვრის როლი მოირგოს და შემდეგ წარადგინონ თავიანთი ნამუშევრები.

ნაბიჯი 5

ნამუშევრების წარდგენის შემდეგ მასწავლებელი „სენდვიჩის მეთოდის' გამოყენებით ყოველ წყვილს სუსტ და ძლიერ მხარეებზე მიუთითებს და განმავითარებელ შეფასებას აძლევს.